

---

ეთნიკური უმცირესობების მწერლობა. ლოკალური და გლობალური  
გამოწვევები

Writing of Ethnic minorities. Local and Global Challenges

---

**Salome Kapanadze**

სალომე კაპანაძე

*Grigol Robakidze University*

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

**Transformation of War Narrative – „Encounter“ in Literature  
(Abkhaz writers on war and peace)**

**ომის ნარატივის ტრანსფორმაცია – „შეხვედრა“ ლიტერატურაში  
(აფხაზი მწერლები ომსა და მშვიდობაზე)**

The aim of the paper is to study the importance of culture as an unconditional leader in the process of restoration of Georgian-Abkhazian relations. This lever is highly reliable and impressive in its results. In the Georgian-Abkhaz space, which is still divided by war, culture undertakes to take care of the transformation of the emotional traces of the conflict and to ensure its prevention in the future. It is constitutional that, despite individual efforts, this mission of culture cannot be covered by a national narrative, since the memory of Georgians and Abkhazians preserves an impressive period of cultural-literary coexistence. The most satisfied with the results of the conflicts that arose in the post-Soviet space was the system whose mental traces, unfortunately, have not yet been erased from people's memories. in memory. Literary-cultural relations determine that the euphoria of enjoying the victory is transformed into higher, moral-ethical feelings, and it is deconstructed into the feeling of regret, unconditional understanding of mistakes. In the post-conflict period, the start of this process is related to the Georgian side. The peaceful accents of Guram Odisharia's novels and self-reflections on the causes of war, his informal meetings with the Abkhaz side gave us the first results, the continuation of which is the project "Meeting" published in 2023. The article analyzes the prose of Abkhaz women writers participating in this project. Research has shown that this is a new perspective on war and peace that we believe is important and promising in the process of rebuilding trust.

**Key words:** War narrative, Abkhazian writers, „Encounter“, conflict

**საკვანძო სიტყვები:** ომის ნარატივი, აფხაზი მწერლები, „შეხვედრა“, კონფლიქტი

პოსტსაბჭოთა პერიოდში კონფლიქტის სივრცე საგრძნობლად გაფართოვდა და ბევრი მათგანი დღემდე პოლიტიკურად მოუგვარებელის სტატუსს ატარებს. მათ შორისაა (,) ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები. ეს უკანასკნელი თავისი სპეციფიკით განსხვავდება მსოფლიოში არსებული სხვა კონფლიქტებისგან. ნათესაური კავშირები, ტრადიციები და ზოგადკავკასიური კულტურული პატერნები კონფლიქტის მოგვარებისთვის გავრცელებული საშუალებების პარალელურად, სპეციფიკურ მიდგომებსაც ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, მოცემულობა საკმაოდ მძიმეა, რადგან ომის შემდგომი მეხსიერება სჭარბობს და ბალანსი ომამდელ მეხსიერებასთან დარღვეულია. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი(ს) მხრიდან ფოკუსი ძირითადად მიმართულია ოკუპაციასა და რუსეთის გავლენის საკითხებზე, ხოლო აფხაზური მხარე ამ გავლენის ერთგული რჩება, კულტურა თავისი მნიშვნელობით მაინც უნდა ვაღიაროთ უპირობო ლიდერად, რომელსაც ეფექტური შედეგები აქვს და იგი არ თმობს თავის განსაკუთრებულ მისიას კონფლიქტების მოგვარების პროცესში. კულტურას აქვს უზარმაზარი რესურსი, იზრუნოს მშვიდობაზე და უზრუნველყოს ომის პრევენცია მიუხედავად იმისა, რომ „თითოეულ კულტურას საკუთარი შაბლონი და შემადგენელი ენერგიების ორგანიზების მისთვის დამახასიათებელი წესი აქვს“ (დიუმი, 2014, გვ. 33). ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოცემულობა უაღრესად სპეციფიკურია. კულტურის გავლენის გადაფარვა შეუძლებელია აფხაზური მხარის ყველაზე აგრესიული ნაციონალური ნარატივითაც კი, რადგან ქართველთა და აფხაზთა მეხსიერება იტევს კულტურულ-ლიტერატურული თანაცხოვრების უაღრესად შთამბეჭდავ პერიოდს. პოსტსაბჭოთა სივრცეში გაჩენილი კონფლიქტების შედეგით ყველაზე კმაყოფილი ის სისტემაა, რომლის მენტალური კვალიც ჯერაც არ არის წაშლილი ადამიანების მეხსიერებაში, მაგრამ ამ წარსულში ინახება ურთიერთობები, რომელზეც დაყრდნობით გამარჯვებით ტკობის ეიფორიის ტრანსფორმირება უფრო მაღალ, ზნეობრივ – ეთიკურ განცდებში გარდაუვალაია.

კონფლიქტების თემაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთ დროს არსებობს ადამიანური პრინციპებიც, მათ შორის, ჰეროიზმზე მოთხოვნა და იგი ხშირად ესამირკვლება ომის გამართლებას. ჰეროიზმი სარფიანი ინსტრუმენტი, დამატებითი არგუმენტია ომის მოსურნეთა პოლიტიკურ ნარატივში, რადგან „ომი ადამიანს სთავაზობს შესაძლებლობას, გამოავლინოს მასში მძინარე გმირი“ (ევოლა, 2023, გვ. 35). ცნობილია, რომ ომის ესთეტიკაზე საუბარს გვერდი ვერ აუარა ქართულმა მწერლობამაც. მათ შორის საინტერესოა გრიგოლ რობაქიძის მოსაზრებები. იგი თავის წერილში „ომი და დოსტოევსკი“ სრულად იზიარებს ომის ესთეტიზაციის დოსტოევსკისეულ იდეას და აღნიშნავს: „მნიშვნელოვანია ის, რომ ქრისტეში ტანჯული ხელოვანი ისევე ტკება ომით, როგორც ორგიული დიონისეს მთვრალი მომღერალი“ (რობაქიძე, 2014, გვ. 120).

აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინება ომის გააზრებისას აუცილებელია. კულტურაში ბუნებრივად აღწევს გამარჯვების ეიფორია და ჰეროიზმი. ხშირ შემთხვევაში ეს არახელსაყრელი მოცემულობაა შერიგებისა და ნდობის აღდგენისთვის. მიუხედავად ამისა, ქართულმა მხარემ შესძლო კულტურის ნაციონალური რესურსის მობილიზება და იგი საფუძვლად დაუდო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ფუნდამენტურ სურვილს. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართველთა შემწყნარებლობასა და მის მზაობას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის. ქართული მხარის მიერ ორგანიზებული ერთ-ერთი ბოლო პროექტი – „შეხვედრა“-აფხაზი და ქართველი მწერლების მოთხრობების კრებული – ამის კიდევ ერთი დასტურია. ის არ გახლავთ ამ იდეით განხორციელებული ერთადერთი პროექტი და ამდენად, მსჯელობისას საჭიროდ მივიჩნიეთ რამდენიმე მათგანის რეტროსპექტივა. ეს პროექტები განსაკუთრებული შედეგიანობით გამოირჩა და რეალურად მონიშნა კულტურის ყველა შესაძლებლობა. 2005 წელს სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში დაიდგა სპექტაკლი „ზღვა, რომელიც შორია“. პიესის სცენარი ეკუთვნის არაერთი საინტერესო კულტურული პროექტის ავტორს, სოხუმელ მწერალს – გურამ ოდიშარიას, დადგმა- ცნობილ რეჟისორ თემურ ჩხეიძეს, რომელსაც თანარეჟისორობა გაუწია ახალგაზრდა სოხუმელმა რეჟისორმა ბადრი წერედიანმა. ამ სპექტაკლმა საფუძველი კიდევ უფრო გაუმყარა აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზების ხელახალი განაზრებისა და თვითშეფასების

იდეას. DVD ფორმატში ჩაწერილი სპექტაკლის ჩვენება კონფლიქტის ზონაში განხორციელდა. დადასტურებული ინფორმაციით, სოხუმის უნივერსიტეტში მოეწყო არა მარტო ამ სპექტაკლის ვიდეო ჩანაწერის ჩვენება, არამედ იგი გახდა სერიოზული განხილვის თემა აფხაზ ახალგაზრდებს შორის. აღნიშვნის ღირსია რეჟისორ დიმიტრი ხვთისიაშვილის სპექტაკლიც „მე შენ მიყვარხარ“, რომელიც ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაიდგა და აფხაზთა და ქართველთა შორის მეგობრობის იდეას მიემდგვნა. ნდობის აღდგენისთვის თავისი რესურსი კარგად აქვს გააზრებული ქართულ კინემატოგრაფსაც. გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“, „სიმინდის კუნძული“, ზაზა ურუშაძის „მანდარინები“, გიორგი სიხარულიძის „ბამბაზის სამოთხე“, ნანა ჯანელიძის „იარე, ლიზა!“ სამშვიდობო დიალოგის შთამბეჭდავი ნაწილია. „ოცდამეერთე საუკუნის ქართულმა კინომ საკუთარი წილი პასუხისმგებლობა აიღო კულტურის რესურსით „კაცთა შორის მშვიდობის“ დასამყარებლად“ (კაპანაძე, კონტექსტი, გვ. 184). აქვე უნდა აღინიშნოს აფხაზური მხარის სპეციფიკური რეაქცია ქართული კინოს სამშვიდობო გზავნილებზე. ამ თვალსაზრისით, გამოვარჩევდით ანრი გამბას მხატვრულ ფილმს „გამოცხადება“, რომელიც აფხაზეთის ომზეა და მასში ნაჩვენებია, როგორ უჩნდება თანაგრძნობა შვილმკვდარ აფხაზ დედას ცხრამეტი წლის ქართველი ტყვე ბიჭის მიმართ. ეს ფილმი, ჩვენი აზრით, გახლავთ პასუხი, ერთგვარი „გაჯიბრება“ ჰუმანიზმში ქართულ მხარესთან, თუმცა ომთან დაკავშირებული სტერეოტიპული აზროვნება აფხაზურ (რეალურად, უფრო რუსულ) კინემატოგრაფში მაინც დომინირებს, რადგან ქართველთა მძლეობის ვალდებულება შენარჩუნებულია. მიუხედავად ამ მოცემულობისა, ჩვენი აზრით, აფხაზურმა მხარემ დაიწყო ფიქრი ომის იმ მხარეზე, სადაც ადამიანური ურთიერთობები ფასობს.

ვინაიდან ჩვენი კვლევა ძირითადად უკავშირდება ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებს, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სოხუმელი მწერლის გურამ ოდიშარიას ღვაწლი ნდობის აღდგენის პროცესში. სწორედ მის სახელს უკავშირდება პოსტკონფლიქტურ პერიოდში სამშვიდობო დიალოგის დაწყება. გურამ ოდიშარიას რომანების სამშვიდობო აქცენტებმა და ობიექტურმა რეფლექსიებმა ომის მიზეზებზე, მისმა არაფორმალურმა შეხვედრებმა აფხაზურ მხარესთან მოგვცა პირველი რეალური შედეგები. მწერლის სამშვიდობო მისია დასტურდება არა + ერთი შესანიშნავი პროექტით, რომელთა შორის გამოვარჩევდით რომანს „პრეზიდენტის კატა“. წიგნი მსოფლიოს არაერთ ენაზე ითარგმნა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩვენი აზრით, მისი აფხაზური თარგმანია. რომანი შეტანილია აფხაზეთის ბიბლიოთეკების კატალოგშიც. 2011 წელს გურამ ოდიშარიამ ქართველი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადა აფხაზი მწერლის დაურ ნაჭყებუას რომანი „ღამის ნაპირი“. უნდა აღინიშნოს, რომ გურამ ოდიშარიას მხატვრული ტექსტები, მისი ყველა პროექტი მშვიდობის ფუნდამენტური განცდის პრინციპებზეა აგებული და ამიტომაც მას აფხაზური მხარე ენდობა. აფხაზ მწერალ ბათალ კობახიასთან ერთად იგი რედაქტორია ერთობლივი პროზაული კრებულების – „ჟამი სიცოცხლისა“ (2003 წ.) და „ხიდი“ (2006 წ.). წინასიტყვაობაში ხაზგასმულია, რომ „ეს წიგნი არის მცდელობა იმისა, რომ შევიგრძნოთ იმ ადამიანების მაჯისცემა, რომლებმაც იციან ნამდვილი სიცოცხლის ფასი. ჩვენ გვჯერა, რომ ეს წიგნი კავკასიაში მცხოვრებ ადამიანებს მისცემს საშუალებას, უკეთ გაითავისონ ერთმანეთის პრობლემები“ (სიცოცხლის დრო, 2005, გვ. 5). კრებულის შედგენა ქართველ, აფხაზ, ოს, სომეხ და აზერბაიჯანელ მწერალთა ინიციატივას წარმოადგენს, სადაც მშვიდობისა და ადამიანთა ჰუმანიზაციისათვის გაღებული მათი ლიტერატურული ღვაწლი ერთ წიგნად ერთიანდება, როგორც კულტურათა წარმატებული დიალოგის მაგალითი. კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მდგომი მწერლების თვალთ დახახული ომი, პერსონაჟთა განცდები იმდენად იდენტურია, რომ ამ თვალსაზრისით ინტერტექსტს ემსგავსება. დავიმოწმებთ მ. ბახტინის მოსაზრებას: „ტექსტი ცოცხლობს მხოლოდ სხვა ტექსტთან კავშირში (კონტექსტი). ტექსტების მხოლოდ ამგვარი გადაკვეთის წერტილებში ინთება ის სინათლე, რომელიც შუქს ჰვენს წარსულსაც და თანამედროვეობასაც, მოცემულ ტექსტს დიალოგის მნიშვნელობას ანიჭებს“ (ბახტინი, 1979, გვ. 281) აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენს მოცემულობაში ეს გადაკვეთის წერტილები ომით არის მონიშნული. სხვადასხვა ეროვნებისა და ეთნოფსიქოლოგიის, სხვადასხვა სა-

ხელმწიფოებრივ სივრცეში სრულიად დამოუკიდებლად მოაზროვნე მწერლების მხატვრული ტექსტები კონცენტრირდება ერთი საერთო იდეის ირგვლივ, რათა „კაცობრიობამ უნდა უერთგულოს იმ ფასეულობებს, რომელიც ადამიანთმოყვარეობის ცნობილ პოსტულატებს ეფუძნება“ (კაპანაძე, 2019, გვ. 170).

ქართულ-აფხაზური დიალოგის წარმატებული ლიტერატურული ფორმატი 2023 წელს გამოცემული აფხაზი და ქართველი მწერლების კრებულით დასტურდება. წიგნის სახელწოდებაა „შეხვედრა“ და მასაც ასეთივე ინიციატივა აერთიანებს – მწერლობამ თავისი სიტყვა უნდა თქვას „კაცთა შორის მშვიდობის დასამყარებლად“. იდეა განხორცილდა კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით. პროექტის ხელმძღვანელები არიან გურამ ოდიშარია და აფხაზი მწერალი დაურ ნაჭყეზია, რომელმაც ქართველ მკითხველს თავი დაამახსოვრა მოთხრობებით და განსაკუთრებით რომანით „უცხო ნაპირი“. უნდა აღინიშნოს, რომ 90-იანი წლების აფხაზურ მწერლობაში დაურ ნაჭყეზიამ არა მარტო იმით მიიპყრო ყურადღება, რომ მან არნახული წნეხისა და ცენზურის პირობებში გაბედა, ჩართულიყო კულტურათა დიალოგის პროცესში, არამედ თავისი სამშვიდობო მხატვრული ნარატივითაც შეუერთდა ქართველ მწერლებს. იგი ბოლომდე მიჰყვა შემოქმედის ინტუიციას და სათქმელიც ამ გადასახედიდან გაამჟღავნა.

კრებულში „შეხვედრა“ აფხაზი მწერლების ნაწარმოებები ქართულად თარგმნა ირმა ოსიამ. ნიშანდობლივია, რომ პროექტის ყველა მონაწილე ქალია, ავტორთა სია ასე გამოიყურება: დიანა ანფიმიადი, ასტანდა არძინა, ნინი ბატიაშვილი, შაზინა მგანბა, თამარ გეგეშიძე, ნინა ეშაუ, ეკატერინე ტოგონიძე, სირმა ფაჩულია. წიგნს თანდართული აქვს ინტერვიუები და ავტორთა ბიოგრაფიები. პროექტის ყველა მონაწილე წარმატებას ერთობლივად აღწევს, ისინი ეძებენ და პოულობენ თანხვედრას ომით გაყოფილი ადამიანების სევდასა და ტკივილში, ამცირებენ გაუცხოების მანძილს. მათი ლიტერატურული ინსპირაციის წყარო მშვიდობის აუცილებლობის განცდაა. ცნობილია, რომ ომი მრავალი ლიტერატურული შედეგის „მთავარი გამირია“ და ამ შემთხვევაშიც ავტორები გამირად აქცევენ საქართველოს ისტორიის დრამატულ ამბავს- აფხაზეთის ომს. წიგნის გარეკანზე ვკითხულობთ:

„რვა განსხვავებული სტილისა და პერსპექტივის ტექსტებში ქართული და აფხაზური საზოგადოების დღევანდელი ყოფა იკითხება. მოთხრობების მთავარი გამაერთიანებელი ხაზი ქალი მწერლების საერთო პოზიციაა: გულწრფელი გულისტკივილი ადამიანის მიმართ, მისდამი სიყვარული, თანაგრძნობა და სამართლიანობა. ეს კრებული ომის დამლევაზეა, ბოროტების დამლევაზე, რომელიც მან ჩვენს სულებს დამართა“ (შეხვედრა, 2023, გარეკანის გვერდი).

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩვენი მსჯელობა კონცენტრირდება აფხაზ მწერლებზე, ვინაიდან სწორედ მათ ლიტერატურულ ტექსტებში შეინიშნება ომის ნარატივის ტრანსფორმაცია და გადაკვეთის წერტილებთან მიახლოებების სურვილი. როგორც ცნობილია, ქართველმა მწერლებმა ეს განწყობა გაცილებით ადრე გამოამჟღავნეს. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური საზოგადოების უდიდესი ნაწილი დღესაც ერთგულეებს რუსეთის იმპერიის მიერ ქართველთმომულეობის დიდაქტიკას და კულტურის მეშვეობითაც ამასვე ახორციელებს, პროექტის მონაწილე აფხაზი ავტორები მაინც კვებენ იმ ზღვარს, რომელიც ამ დიდაქტიკას არ ემორჩილება. სამართლიანობისთვის უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებაში ამ სათქმელის განვრცობა პირველად შეინიშნება უხუცესი აფხაზი მწერლის ფაზილ ისკანდერის მოთხრობაში „ომი და ბიჭი“. „*ფაზილ ისკანდერი ძალიან სათუთი თემატიკით უერთდება ზოგადკავკასიურ დიალოგს, ეს არის ბავშვის უმანკო თვალებით დანახული რეალობა, რომელსაც უფროსები ომს არქმევენ და ვერაფერს უხერხებენ იმ უსამართლობებს, რომელსაც თავად ქმნიან*“ (კაპანაძე, 2019, გვ. 173).

2023 წელს გამოცემულ კრებულში „შეხვედრა“ აფხაზი მწერლების ახალი თაობის წარმომადგენლები – ასტანდა არძინბა, მაზინა ბგანბა, ნინა ეშსაუ, სირმა ფაჩულია – კვლავ ბედავენ ისაუბრონ იმაზე, რაც ომმა დამართა ქართველებსა და აფხაზებს. ისინი ქმნიან არა შურისძიების, არამედ დიალოგის სივრცეს. პროექტის მონაწილე ყველა ავტორი ომის შემდეგაა დაბადებული. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არაფერს ცვლის, რადგან პროექტის მონაწილე ყველა მწერალი იმ თაობას მიეკუთვნება, რომელიც პოსტკონფლიქტურ პერიოდში ქართველთა მოქმედების აქტიური პროპაგანდის სამიზნე იყო და ყველა ლოგიკით ამ გავლენის კვალს უნდა ატარებდეს. მიუხედავად ამისა, პროექტის მონაწილე აფხაზ მწერალთა მოთხოვნებში უკვე მონიშნულია ომის ნარატივის ტრანსფორმაციის მკვეთრი კონტურები, რომლებიც შემდეგ ძირითად ტენდენციებად ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: 1. ომი გამარჯვების გარეშე 2. პოსტკონფლიქტური პერიოდის ნაციონალური ნარატივის გადასინჯვის მცდელობა. 3. თანაგანცდა როგორც ომის დამლევის საშუალება.

თავის მოთხოვნაში „კვანტური კავშირები“ პროექტის მონაწილე აფხაზი მწერალი ასტანდა არძინბა წერს:

„კაცობრიობა საკმარისად ვერ აღიქვამს ომის შემდგომი პერიოდის ტრაგიზმს და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ომისგან შორს მყოფ ადამიანებს ეჩვენებათ, რომ ომში ყველაზე უარესი დაბობმბვა და სიკვდილთან ალბათობაა, არადა, ყველაზე საშინელი ომში გატეხილი ადამიანებია, რომლებმაც უყურეს ადამიანური ბუნების ყველაზე ამაზრზუნ, ყველაზე საშინელ გამოვლინებებს. ეს გატეხილი ადამიანები თავიანთი გატეხილი სულებით დადიან მშვიდობიან ცხოვრებაში და ომი მათთვის არ მთავრდება“ (შეხვედრა, 2023, გვ. 32).

იმავე მოთხოვნაში მისი შეგრძნებები უფრო მძაფრდება და ტრანსფორმირდება მშვიდობის სივრცის შექმნისათვის უაღრესად მნიშვნელოვან განცდებში – ეს გახლავთ პოსტკონფლიქტური პერიოდის ნაციონალური ნარატივის გადასინჯვა, მისი შეგრძნებები აღარ ემორჩილებიან ომის-შემდგომი ნაციონალური დიდაქტიკის გავლენებს:

„სკოლაში გვასწავლიდნენ, რომ ომი მოვიგეთ, დავიბრუნეთ თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჩვენ ვართ გამარჯვებულები, ჩემთვის ეს იყო ყველა ოლიმპიკადა ერთდროულად რომ მოგვეგო, იმის ტოლფასი. ძალიან ვამაყობდი, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად აღფრთოვანება იკლებდა. თუმცა ჩემი რესპოდენტები გამარჯვების დღისთვის ან სამხედრო თარიღისთვის მომზადებულ რეპორტაჟებში ისე მჭერმეტყველურად საუბრობდნენ ჩვენი ხალხის გმირობასა და გამბედაობაზე, ასობით ვაჟისა და ქალიშვილის სიცოცხლის ფასად მოპოვებულ თავისუფლებაზე. მე კი ისეთი ამბები შევიტყვე ომისა და მისი შედეგების შესახებ, რის გაგებაც არასდროს მინდოდა“ (შეხვედრა, 2023, გვ. 34).

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ პროექტის სტრუქტურული დაგეგმარება, მის შინაარსთან ერთად, მკითხველს ეხმარება, კარგად გაიაზროს აფხაზი მწერლების მინორული, თუმცა ჩვენი აზრით, ამ პოლიტიკურ რეალობაში ძალიან თამამი პოზიცია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით. წიგნს თან ერთვის ინტერვიუები, სადაც ქართველი და აფხაზი მწერლები ერთმანეთს ენაცვლებიან როგორც რესპოდენტები და ეს მასალაც დამატებით არგუმენტად ყალიბდება სამშვიდობო გზავნილის გასააზრებლად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დასტურდება ამ ფორმატის პროექტების მნიშვნელოვანი როლი ნდობის აღდგენის პროცესში. კულტურა, როგორც უნიკალური, სანდო ინსტრუმენტი და კონფლიქტის მონაწილე მხარეთა უსაფრთხო შეხვედრის ადგილი, შეუცვლელია. მწერალთა დიალოგის ასეთი ფორმატი იმედია იმისა, რომ ქართულ-აფხაზური გაუცხოების პროცესი საგრძნობლად შემცირდება. კულტურის ეგიდით წარმოებულმა დიალოგმა უნდა უზრუნველყოს ომის პრევენცია და კონფლიქტზე ჯანსაღი რეფლექსიები წარმოშვას. როგორც უკვე აღვნიშნეთ,

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ამ თვალსაზრისით, მართლაც, სპეციფიკურია, რადგან მხარეებს ისტორიული წარსული აერთიანებთ, ომამდელი და ომის შემდგომი ნარატივი მათ მეხსიერებაში სასარგებლო კონფლიქტშია, რომელსაც ხელშეწყობა სჭირდება. ეს ერთადერთი კონფლიქტის სახეობაა, რომელიც ასეთ წახალისებას საჭიროებს. პროექტი „შეხვედრა“ დასტურია, რომ აფხაზი მწერლების ცნობიერებაში ეს სასარგებლო კონფლიქტი რეალურად არსებობს და ისინი მაინც რჩებიან მეტაეთიკის ძირითადი პრინციპების ერთგულნი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- დიუმი, ჯ. (2014). თავისუფლება და კულტურა, თბილისი: ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ინსტიტუტი.
- ევოლა, ი. (2023). ომის მეტაფიზიკა, თბილისი: „აქტი“.
- კაპანაძე, ს. (2019). კონტექსტი, წერილები ქართულ მწერლობასა და კულტურაზე, თბილისი: „სვეტი“.
- რობაკიძე, გ. (2014). ომი და კულტურა, თბილისი: „არტანუჯი“.
- შეხვედრა, აფხაზი და ქართველი მწერლების მოთხრობების კრებული (2023). თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- Бахтин М.М. (1979). Эстетика словесного искусства, Москва.

#### References:

- Bakhtin M.M. (1979). Estetika slovesnogo iskusstva. [Aesthetics of Verbal Art]. Moskva.
- Diumi, J. (2014). Tavisupleba da k'ult'ura. [Freedom and Culture]. Tbilisi: pilosopiisa da sotsialur metsnierebat k'vlevis inst'it'ut'i.
- Evola, I. (2023). Omis met'apizik'a. [Metaphysics of War]. Tbilisi: „akt'i“.
- K'ap'anadze, A. (2019). K'ont'ekt'i, ts'erilebi kartul mts'erlobasa da k'ult'uraze. [Context, Letters on Georgian Writing and Culture]. Tbilisi: „svet'i“.
- Robakidze, G. (2014). Omi da k'ult'ura. [War and Culture]. Tbilisi: „art'anuji“.
- Shekhvedra, apkhazi da kartveli mts'erlebis motkhrobbis k'rebuli. (2023). [Meeting, Collection of Stories by Abkhazian and Georgian Writers]. Tbilisi: Bak'ur Sulak'auris gamomtsemloba.